www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები

2024

29.07.2025
www.geostat.ge

29.07.2025

ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები

(2024 წელი)

2024 წელს საქართველოში 239 საავადმყოფო ფუნქციონირებდა. საწოლთა ფონდი წინა წელთან შედარებით 2.5 პროცენტით შემცირდა და 14.9 ათასი შეადგინა. საავადმყოფოში დაყოვნების მაჩვენებელი 4.6 დღე იყო (2023 წელს - 5.3 დღე), ხოლო დატვირთვის მაჩვენებელი - 191.5 დღე (2023 წელს - 204.9 დღე).

2024 წელს ქვეყანაში იყო 2 288 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება. აღნიშნულ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვის 15.8 მილიონი შემთხვევა დაფიქსირდა, რაც 2.8 პროცენტით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სამედიცინო დაწესებულებებში ექიმების რიცხოვნობამ 24.1 ათასი შეადგინა, ხოლო საექთნო პერსონალის რიცხოვნობამ - 21.3 ათასი.

2024 წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით რეგისტრირებული დაავადებების (პირველად დადგენილი დიაგნოზით) რაოდენობა ყველაზე მეტად გაზრდილია შემდეგ ჯგუფებში: თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები (18.0%), ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები (15.4%), ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები (14.8%), ნერვული სისტემის დაავადებები (13.6%), სასუნთქი სისტემის დაავადებები (11.4%).

ავადობის ძირითადი ჯგუფებიდან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო სასუნთქი სისტემის, თვალისა და მისი დანამატების, სისხლის მიმოქცევის სისტემის, შარდ სასქესო სისტემის, ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები.

2024 წელს შიდსით დაავადების 615 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, რაც 3 ერთეულით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. შიდსით დაავადებულთა კუმულატიური რიცხოვნობა 10 006 ერთეულით განისაზღვრა. 2024 წელს შიდსით 131 პირი გარდაიცვალა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების რაოდენობა 2014-2024 წლებში.

29.07.2025

დიაგრამა №1

აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების რაოდენობა

(კაცი)



2024 წელს, წინა წელთან შედარებით ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობა 11.7 პროცენტით ნაკლები იყო. ტუბერკულოზით დაავადებული მოსახლეობის რიცხოვნობა 9.2 პროცენტით შემცირდა და 1 311 შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით 2014-2024 წლებში.

დიაგრამა №2

მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით

(კაცი)



2024 წელს სასწრაფო დახმარების მეშვეობით პირველადი სამედიცინო დახმარება 1.1 მილიონ ადამიანს გაეწია, საიდანაც შემთხვევების 99.0 პროცენტი უცაბედ ავად გახდომას უკავშირდებოდა.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge